ტრენინგი "სიახლეები სახელმწიფო შესყიდვებში" შესყიდვების სპეციალისტებისათვის

კურსის შესახებ:

წინამდებარე ერთდღიანი ტრენინგ - სემინარი განკუთვნილია იმ მსმენელთათვის, რომლებმაც წინა წლებში უკვე გაიარეს გადამზადება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში. სახელმწიფო შესყიდვების სფეროს აქტიურმა რეფორმირებამ განაპირობა მნიშვნელოვანი ცვლილებები, როგორც საკანონმდებლო ბაზაში, ასევე შესყიდვის საშუალებებში და შესყიდვების განხორციელების ბიზნეს პროცესებში. გარდა ზემოაღნიშნულისა, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემას დაემატა არაერთი ინოვაციური ელექტრონული სერვისი. შესაბამისად, სემინარის მიზანს წარმოადგენს მსმენელთა ცოდნის განახლება და მათი ინფორმირება.

ტრენინგ - სემინარს გაუძღვებიან სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მაღალკვალიფიციური ტრენერები. ყოველი თემატური პრეზენტაციის სესია დასრულდება მსმენელებთან დისკუსიითა და კითხვა-პასუხით.

დრო	სესია	ტრენერი
10.00 – 11.00	**სახელმწიფო შესყიდვების არსებული კანონმდებლობის და სამომავლო ცვლილებების მიმოხილვა.** კითხვა-პასუხი	გიორგი ლაცაბიძე- იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
11.00- 12.00	**შერჩევა - შეფასება. ანგარიშგება. დავების განხილვის ახალი რეგულაციები.** კითხვა-პასუხი	კონსტანტინე გუგეშაშვილი - მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი
12.00- 12.30	**შესვენება**	
12.30- 13.30	**ბაზრის კვლევის მიდგომები. შესყიდვების დაგეგმვა და შესყიდვის საშუალების შერჩევა. ახალი პროცედურები და მათი გამოყენების თავისებურებანი.** კითხვა-პასუხი	ალექსანდრე ჩხიკვიშვილი - ანალიტიკოსი
13.30- 14.30	**გამარტივებული შესყიდვები: ტიპიური შემთხვევები და სააგენტოსთან შეთანხმების პროცესი. ნეგატიური გამოცდილება და სასარგებლო რეკომენდაციები.** კითხვა-პასუხი	ირაკლი გოლეთიანი - გამარტივებული შესყიდვის შეთანხმების სამსახურის უფროსი
14.30- 14.45	**შესვენება**	
14.45- 15.45	**ცენტრალიზებული შესყიდვების განხორციელების ახალი მიდგომები**	ნიკოლოზ ქოჩიაშვილი - ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტი
15.45- 16.45	**სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა. სააგენტოს ოფიციალური ვებ-საიტი. სხვა ელექტრონული სერვისები.** კითხვა-პასუხი	დავით ჯაიანი - ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი